საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბანკო საქმე

2023

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია 4

პროგრამის აღწერა 5

პროგრამის მიზანი 7

სწავლის შედეგები 8

კომპეტენციების რუკა 9

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა 9

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა 10

პროგრამის სტრუქტურა 11

პროგრამის კომპონენტების განაწილების სქემა 11

პროგრამის სასწავლო გეგმა 12

სწავლების ორგანიზება 16

ზოგადი აღწერა ..... **Error! Bookmark not defined.**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 17

სწავლა–სწავლების მეთოდები 20

შეფასების კომპონენტები 30

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა 31

პროგრამის დასაქმების სფერო 31

პროგრამის პარტნიორები 32

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია 33

საერთაშორისო პარტნიორები 27

გაცვლითი პროგრამები 34

პროგრამის რესურსები 34

მატერიალური რესურსი 34

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება:	საბანკო საქმე
უმაღლესი განათლების საფეხური:	მეორე საფეხური (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში
სწავლების ენა:	ქართული
სწავლის ხანგრძლივობა:	2 აკადემიური წელი(4 სემესტრი)
პროგრამის მოცულობა:	120 კრედიტი /3000 ასტრონომიული საათი/
პროგრამის ხელმძღვანელი:	ვალერი მოსიაშვილი, პროფესორი

პროგრამის აღწერა

საუკეთესო პრაქტიკით დადასტურებულია საკრედიტო-საბანკო სექტორის წამყვანი როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში. უკანასკნელ წლებში საქართველოს საფინანსო სექტორის ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკაში (საბანკო სისტემის წამყვანი როლით) სტაბილურად მზარდია. შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციური საკრედიტო სფეროს სპეციალობის კადრებზე საჯარო სამსახურებისა და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა (კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, აქტივების მმართველო კომპანიების, საინვესტიციო კომპანიების, ერთობლივი ფონდების, სალიზინგო კომპანიების და სხვა) მხრიდან.

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს, საკრედიტო საბანკო სფეროში მაღალკვალიფიცურ კადრებზე მზარდი მოთხოვნის შესატყვისი პროფესიონალი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან ფულად-საკრედიტო და საფინანსო სფეროსათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, კონკურენტუნარიანი იქნებიან ადგილობრივ და საგარეო შრომის ბაზარზე.

წინამდებარე პროგრამაში ხდება სავალდებულო და თავისუფალი კომპონენტების კომბინირება საბანკო საქმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება სამაგისტრო პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნისა და უნარების სინთეზის საფუძველზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მაგისტრის კომპეტენციებისა და საბანკო საქმის მაგისტრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგისტრის მომზადება მიმდინარეობს ძირი-

თადი ცოდნის (სპეციალობის/სპეციალიზაციის) სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს საბანკო საქმის მაგისტრის პროფესიული ან/და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავების მიზნით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან ზოგადად და კონკრეტულად საბანკო საქმესთან დაკავშირებული სავალდებულო კომპონენტები: სასწავლო კურსები, არჩევითი სასწავლო კურსები და პრაქტიკა.

სპეციალობის სასწავლო კურსები ითვალისწინებს სპეციალობის ძირითადი სასწავლო დისციპლინების შესწავლას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მაქსიმაური მიღწევა, მაგისტრანტის ჩამოყალიბება საბანკო საქმის მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტად, რომელიც აღჭურვილი იქნება საბანკო სფეროში მუშაობისთვის საჭირო უნარჩვევებით, ექნება ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საბანკო ოპერაციების, საბანკო მენეჯმენტის, საბანკო დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, საბანკო რისკების იდენტიფიკაციასა და მართვის, საკრედიტო საბანკო სფეროში არსებული რეგულაციების და სფეროსათვის დამახასიათებელი სხვა სპეციფიკური კომპეტენციებით.

არჩევითი სასწავლო კურსები ითვალისწინებს სასწავლო დისციპლინების შეთავაზებას, რომლებიც მიმართულია სპეციალობის გაღრმავებისკენ და უნარების დახვეწისკენ, ასევე, დაეხმარება სამაგისტრო პროგრამის მსმენელს საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს სასწავლო დისციპლინებიც, რაც საშუალებას მისცემს მიიღოს ღრმა და სისტემური ცოდნა ამ სასწავლო დისციპლინაში, მაგრამ უშუალოდ არ არის დაკავშირებული საბანკო საქმის სფეროსთან.

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი გულისხმობს რეალური საგანმანათლებლო ინსტიტუციის ადმინისტრირების პროცესების შესწავლას და განვითარებაზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც სპეციალობის სასწავლო კურსების გავლის შემდეგ მიღებული თეორიული ცოდნის რეალიზებას მოახდენს საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლით, შეიძენს პრაქტიკული ხასიათის უნარჩვევებს, გახდება კონკურენტუნარიანი შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე.

პროგრამის მიზანი

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მისიას, ითვალისწინებს თანამედროვე საფინანსო-საკრედიტო გარემოს მზარდ პრაქტიკულ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული, ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტის მომზადებას, რომელიც:

I. შეძლებს საბანკო-საფინანსო სფეროსათვის საჭირო თეორიული ცოდნის სრულყოფას და პრაქტიკაში გამოყენებას;

II. იმოქმედებს, როგორც საიმედო და დამოუკიდებელი საკრედიტო ექსპერტი ბანკის/საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიის ფორმირებასა და განვითარების პროცესში;

III. კვლევისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების შესაბამისად დამოუკიდებლად შეძლებს პრობლემათა იდენტიფიცირებას და მათი ეფექტურად გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების გენერირებას;

IV. პროფესიულ და აკადემიურ სფეროში, რთული ან არასრული ინფორმაციის ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზის საუძველზე შეძლებს მიღებული გადაწყვეტილებებისა და შედეგების დადასტურებას.

სწავლის შედეგები

I. სიღრმისეულად აღწერს საბანკო სექტორის მართვასთან დაკავშირებულ ძირითად კონცეფციებს;

II. ახორციელებს საფინანსო-საკრედიტო სფეროში რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, ინფორმაციის ინოვაციური მეთოდებით შეფასებას და საკუთარი არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებას, სადაც იქნება ასახახული საბანკო სექტორისათვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები.

III. ახდენს საბანკო სფეროს არსებული ნაკლოვანებების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს პრევენციის ღონისძიებებს;

IV. განსაზღვრავს რა სახის ქმედებები იწვევს საბანკო-საკრედიტო სფეროში არასტაბილურობას, დისპროპორციებს, ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შემცირებას, რისკების ზრდას;

V. აღწერს როგორ და რატომ იცვლება საბანკო რეგულაციები და ამ რეგულაციების გავლენას საკრედიტო-საბანკო სისტემის აქტივობაზე;

VI. იყენებს საბანკო საქმის თანამედროვე კონცეფციებს საკრედიტო-საბანკო სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის ახალი გზების გენერირებისთვის;

VII. ორიგინალური მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას საბანკო სექტორში მიმდინარე კონკრეტული სიტუაციების გასაანალიზებლად ბიზნესის კვლევის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;

VIII. არსებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე სთავაზობს საბანკო საქმიანობის განსხვავებულ სტრატეგიებს კონკრეტული საკრედიტო გარიგებებისას;

IX. იყენებს საბანკო საქმეში მიღებულ თეორიულ ცოდნას საკრედიტო სფეროში ადაპტირებისათვის;

X. იყენებს საბანკო საქმეში მიღებულ პრაქტიკულ კომპეტენციებს საკრედიტო სისტემის მართვის სფეროში ორიგინალური მიდგომების ფორმირებისა და პრაქტიკაში რეალიზებისათვის.

კომპეტენციების რუკა

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

		სწავლის შედეგები პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
I	შეძლებს საბანკო-საფინანსო სფეროსათვის საჭირო თეორიული ცოდნის სრულყოფას და პრაქტიკაში გამოყენებას;								√	√	√	√
II	იმოქმედებს, როგორც საიმედო და დამოუკიდებელი საკრედიტო ექსპერტი ბანკის/საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიის ფორმირებასა და განვითარების პროცესში;		√	√	√	√	√		√			
III	კვლევისა და გადაწყვეტილების მიღების უნარჩვევების შესაბამისად დამოუკიდებლად შეძლებს პრობლემათა იდენთიფიცირებას და მათი ეფექტურად გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების გენერირებას;		√		√			√	√			
IV	პროფესიულ და აკადემიურ სფეროში, რთული ან არასრული ინფორმაციის ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზის საუძველზე შეძლებს მიღებული გადაწყვეტილებებისა და შედეგების დადასტურებას.			√				√		√	√	√

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სასწავლო კურსები \ სწავლის შედეგები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით									
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
I	მენეჯერული ეკონომიკა	√	√								
II	ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე				√	√			√	√	
III	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი		√		√	√		√			
IV	ფინანსური ანგარიშგება ბანკებში				√	√				√	
V	ფინანსური სერვისების მარკეტინგი				√			√	√	√	
VI	საბანკო რისკების მენეჯმენტი				√	√			√	√	
VII	საბანკო მენეჯმენტი	√	√			√					√
VIII	კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი			√	√	√				√	
IX	ფინანსური სისტემის ზედამხედველობა და რეგულირება	√	√	√	√	√					
X	ბიზნესის კვლევის მეთოდები				√		√		√		
XI	პროფესიული ინგლისური		√							√	
XII	საბანკო აუდიტი				√	√				√	
XIV	პრაქტიკა							√		√	√
XV	სამაგისტრო ნაშრომი		√				√	√			

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა აგებულია ECTS პრინციპის საფუძველზე და სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური პროფილის ფორმირების, **სასწავლო, პრაქტიკული** და **კვლევითი** კომპონენტების ერთობლიობას ითვალისწინებს.

პროგრამის კომპონენტების განაწილების სქემა

სასწავლო კომპონენტი

სავალდებულო კურსები - 72 E კრედიტი

- ბლოკი ითვალისწინებს სპეციალობის ძირითადი სასწავლო დისციპლინების შესწავლას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მაქსიმალური მიღწევა, მაგისტრანტის ჩამოყალიბება საბანკო საქმის მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტად.

სასწავლო კომპონენტი

არჩევითი კურსები - 12 Eკრედიტი

- ბლოკი ითვალისწინებს სასწავლო დისციპლინების შეთავაზებას, რომელიც დაეხმარება სამაგისტრო პროგრამის მსმენელს საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს სასწავლო დისციპლინებიც, რომლებიც საშუალებს მიცემს მიიღოს ღრმა და სისტემური ცოდნა ამ სასწავლო დისციპლინაში, მაგრამ უშუალოდ არ არის დაკავშირებული საბანკო საქმის სფეროსთან.

პრაქტიკული კომპონენტი

- **12 კრედიტი**
- პრაქტიკული კომპონენტი გულისხმობს რეალური საგანმანათლებლო ინსტიტუციის ადმინისტრირების პროცესებისშესწავლას და განვითარებაზე ორიენტირებული.

კვლევითი კომპონენტი

- **24 კრედიტი**
- ბლოკი მოიცავს სტუდენტისთვის აუცილებელი დარგის კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლას და კვლევითი ნაშრომის - სამაგისტრო თეზისის შესრულებას.

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ სათები	დაშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება			
					ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები														
N	**სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები**	**108**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა**								I	II	III	IV
											30	**30**	**30**	**30**
1.	მენეჯერული ეკონომიკა	6	150	არ აქვს	13	26	2	3	44	106	**6**			
2.	ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე	6	150	არ აქვს	14	12	2	3	31	119	**6**			
3.	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	6	150	არ აქვს	13	26	2	3	44	106	**6**			
4.	ფინანსური ანგარიშგება ბანკებში	6	150	არ აქვს	14	25	2	3	44	106	**6**			
5.	ფინანსური სერვისების მარკეტინგი	6	150	არ აქვს	14	12	2	3	31	119	**6**			

6.	საბანკო მენეჯმენტი	6	150	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	14	25	2	2	43	107		**6**		
7.	კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი	6	150	ფინანსური ანგარიშგება ბანკებში	14	25	2	3	44	106		**6**		
8.	ფინანსური სისტემის ზედამხედველობა და რეგულირება	6	150	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	14	12	2	3	31	119		**6**		
9.	ბიზნესის კვლევის მეთოდები	6	150	არ აქვს	14	25	2	3	44	106		**6**		
10.	ინვესტიციები და საინვესტიციო პროექტები	6	150	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	13	26	2	3	44	106		**6**		
11.	საბანკო რისკების მენეჯმენტი	6	150	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	14	25	2	2	43	107			**6**	
12.	საბანკო აუდიტი	6	150	კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი	14	25	2	3	44	106			**6**	
13.	პრაქტიკა საბანკო საქმეში	12		ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე; საბანკო მენეჯმენტი; კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი; საბანკო რისკების მენეჯმენტი.	**პრაქტიკას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის მიერ შერჩეული პრაქტიკის ობიექტებიდან**								**12**	
14.	სამაგისტრო ნაშრომი საბანკო საქმეში	**24**		პრაქტიკა საბანკო საქმეში; ბიზნესის კვლევის მეთოდები.	**სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება შესაბამისი ინსტრუქციის შესაბამისად**									**24**

	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	**12**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა**								**I**	**II**	**III**	**IV**
													6	**6**
1.	საფინანსო სამართალი	**6**	**150**	არ აქვს	13	26	2	3	44	106				
2.	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	**6**	**150**	არ აქვს	13	24	2	3	42	108				
3.	სადაზღვევო სისტემა და რეგულირება	**6**	**150**	არ აქვს	14	12	2	3	31	119				
4.	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	**6**	**150**	არ აქვს	15	30	2	3	50	100				
5.	ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები	**6**	**150**	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	14	12	2	3	31	119				
6.	პროფესიული ინგლისური	**6**	**150**	არ აქვს	_	60	2	3	65	85				
7.	Monetary Theory and Policy	**6**	**150**	არ აქვს	15	30	2	3	50	100				
8.	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	**6**	**150**	არ აქვს	14	25	2	3	44	106				
9.	ადამიანური რესურსების მართვა თეორია და პრაქტიკა	**6**	**150**	არ აქვს	14	12	2	3	31	119				
10.	სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	**6**	**150**	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
11.	სამეცნიერო წერა	**6**	**150**	არ აქვს	13	24	-	-	-	2				

12.	კომუნიკაციები და მოლაპარაკებები მულტიკულტურულ კონტექსტში	**6**	**150**	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
13.	საბანკო პროექტების მენეჯმენტი	**6**	**150**	არ აქვს	15	30	2	3	50	100				
	სულ	**120**									**30**	**30**	**30**	**30**

სწავლების ორგანიზება

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი) და ითვალისწინებს 120 ECTS კრედიტის დაგროვებას, რაც 3000 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგისა და მიზნების მისაღწევად.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. აკადემიური (გაზაფხულის და შემოდგომის) სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60

კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებლ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის შესრულებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ჩარიცხვის პირობები

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების, შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სეუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და

ინგლისურ ენაში (B2 დონე). B2 დონის დადასტურება შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით (ტოიფელი, ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინლისური ენის სერტიფიკატი და სხვ.)

საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე)უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

მობილობის წესით ჩარიცხვა

საბანკო საქმის პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, ირჩევს ლექტორი.

ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს,

განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დამოუკიდებელი მუშაობა ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

წერითი მუშაობის მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პროფესიული პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქეისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. ქეისი

წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორიცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ევრისტიკული მეთოდი ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს.

სამაგისტრო ნაშრომი - არის პროგრამის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს შერჩეული ტემის გარშემო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, ინფორმაციისა და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავებას, სტრუქტურირებასა და აკადემიურად გაფორმებული ნაშრომის საჯარო დაცვისთვის წარდგენას.

პროფესიული პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს შეფასებებისაგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასებით არანაკლებ 11 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 12 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტები

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და ის მრავალკომპონენტიანია.

ცალკეული კომპონენტის შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო მოცულობაში (100 ქულა) გააჩნია შემდეგი ხვედრითი წილი: შუალედური შეფასება - 60 ქულა და დასკვნითი შეფასება - 40 ქულა. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა აუცილებელია აღნიშნულ შეფასებაში დადებითი შედეგის დაფიქსირებისთვის. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს - სწავლის გაგრძელება შეუძლია მესამე საფეხურზე(დოქტორანტურაში) შესაბამის ან მომიჯნავე სპეციალობაზე.

პროგრამის დასაქმების სფერო

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში (საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სხვ.), ასევე კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და საერთაშორისო და ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებში, სამეწარმეო და კონსალტინგურ ფირმებში, დაიკავოს მმართველობითი რგოლის მენეჯერის პოზიციები და განახორციელოს მმართველობითი, საფინანსო, ადმინისტ-რაციულ-სამეურნეო, ანალიტიკური, სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა.

პროგრამის პარტნიორები

პარტნიორი ეკონომიკური აგენტები

- ააიპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;
- სს თიბისი ბანკი;
- სს საქართველოს ბანკი;
- სს ფინკა ბანკი საქართველო;
- შპს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი;.
- შპს IT Global.
- შპს ლოიალტე

საერთაშორისო პარტნიორები

- ტურიბას უნივერსიტეტი (ლატვია)
- ბრაგანცას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პორტუგალია)
- პოლტავას ეკონომიკისა და ვაჭრობის ინსტიტუტი (უკრაინა)

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

აღწერა

საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაცია დარგის საერთაშორისო კონტექსტთან შესაბამისობაზე და პროგრამის კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთ დასაქმების/სწავლის გაგრძელებისთვის მნიშვნელოვანი უნარებით აღჭურვაზე გამოიხატება შემდეგით

უცხო ენაზე პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარება

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები ითვალისწინებს B2 დონეზე ინგლისური ენის მრავალკომპონენტიან (წერა, კითხვა, მოსმენა, ენის გამოყენება) ტესტს.

პროგრამის ფარგლებში არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი სავალდებულო ან დამხმარე ლიტერატურა, სასწავლო კურსის დონისა და სწავლების სემესტრის შესაბამისად

არჩევითი სტატუსით პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები

პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მობილობის ხელშეწყობა

პროგრამის II და III სემესტრების სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია პარტნიორ უნივერსიტეტში 1 ან 2 სემესტრის სწავლის შესაძლებლობა, დამატებითი გადასახდელის გარეშე, აქედან სემესტრში უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე 2 სტუდენტის - უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

გაცვლითი პროგრამები

- გაცვლითი პროგრამა ტურიბას უნივერსიტეტის (ლატვია) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე
- გაცვლითი პროგრამა ბრაგანცას პოლიტექნიკური ინსტიტუტის (პორტუგალია) ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე
- გაცვლითი პროგრამა პოლტავას ეკონომიკისა და ვაჭრობის ინსტიტუტის (უკრაინა) ფინანსების, საბანკო და სადაზღვეო საქმის ფაკულტეტზე

პროგრამის რესურსები

მატერიალური რესურსი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას: საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, თანამედროვე აკადემიური სტანდარტებით

აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისა და განმტკიცებისათვის,

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული/ელექტრონული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები და სხვ.

შექმნილია შესაძლებლობა სტუდენტებმა შეისწავლონ და გამოიყენონ საწარმოთა რესურსის მართვის (ERP) პროგრამული უზრუნველყოფა 1C, რაც მნიშვნელოვანი კომპეტენციაა კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის

პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებთან. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს საბანკო ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის ათვისებას.